

საქართველოს ენერჯეტიკის სექტორის განვითარების პერსპექტივები

ეს საჯარო პოლიტიკის ნარკვევი ერთ-ერთია მწვანე ალტერნატივას მიერ მომზადებული ანალიტიკური ნაშრომებიდან, რომლებიც ქვეყნის მდგრადი განვითარებისთვის აქტუალურ საკითხებს ეხება. მისი მიზანია წამოწიოს საჯარო პოლიტიკის კონკრეტულ სფეროში გადაუდებლად გადასაჭრელი საკითხები და ხელი შეუწყოს დისკუსიას ქვეყნის მდგრადი ეკონომიკური და სოციალური განვითარებისა და გარემოსდაცვითი მიზნების ჰარმონიულად მიღწევის გზებზე.

წარმოდგენილი ნარკვევი განკუთვნილია იმ ორგანიზაციებისა და პირებისთვის, რომლებიც იღებენ გადანაცვლებებს საქართველოს საჯარო პოლიტიკისა და მმართველობის საკითხებზე. ნაშრომი, ასევე, სასარგებლო იქნება მათთვის, ვინც ცდილობს შეგავლენა მოახდინოს საქართველოს საჯარო პოლიტიკაზე, მისი გაუმჯობესების მიზნით.

This policy brief is also available in English

ავტორი: მანანა ქოჩლაძე
მწვანე ალტერნატივა,
CEE Bankwatch Network-ის
რეგიონული კოორდინატორი

რეზიუმე

წარმოდგენილ საჯარო პოლიტიკის ნარკვევში განხილულია საქართველოს თანამედროვე ენერჯეტიკა და განალიზებულია, თუ რამდენად შეესაბამება ქვეყნის ენერჯეტიკის სექტორში არსებული ტენდენციები მდგრადი ენერჯეტიკის პრინციპებს. დოკუმენტში წარმოდგენილია დასკვნა, რომ საქართველოს ხელისუფლება კვლავ ცდილობს ხელი შეუწყოს ე.წ. “ტრადიციულ” ენერჯეტიკის პროექტებს (დიდი ჰიდროელექტროსადგურები და თბოელექტროსადგურები) და არ დგამს ქმედით ნაბიჯებს მდგრადი ენერჯეტიკის ისეთი აუცილებელი ატრიბუტების ხელშესაწყობად, როგორცაა, მაგალითად, გარემოს დაცვის ინტეგრაცია, განახლებადი ენერჯის წყაროების ათვისება და ენერჯეტიკის დივერსიფიკაცია. დოკუმენტში ასევე ხაზგასმულია, რომ “ტრადიციული” ენერჯეტიკის პროექტების შემთხვევაში, ხშირად ასეთი პროექტების მხარდამჭერი პოლიტიკური გადაწყვეტილებები მიიღება სრულფასოვანი ეკონომიკური კვლევისა და დასაბუთების გარეშე, ყველა ხარჯისა და სარგებლის გათვალისწინებლად; ამგვარად მიღებული გადაწყვეტილებები კი, საბოლოოდ, საქართველოს გარემოსა და მოსახლეობაზე უარყოფითად აისახება. დოკუმენტის დასასრულს წარმოდგენილია რეკომენდაციები უახლოეს წლებში გასატარებელ იმ ღონისძიებათა შესახებ, რომლებიც, ავტორის აზრით, ხელს შეუწყობენ თანმიმდევრული და მდგრადი ენერჯეტიკის ჩამოყალიბებას საქართველოში.



დაფინანსებულია საქართველოში ნიდერლანდების სამეფოს საელჩოს მიერ

1. პრობლემის კონცეფცია და აქტუალობა

საქართველოს ენერგო-სექტორის პოტენციალის ანალიზი გვიჩვენებს, რომ ქვეყანას აქვს დიდი პოტენციალი მდგრადი ენერგეტიკის განვითარებისათვის, როგორც ჰიდროენერგეტიკული რესურსების, ისე ქარისა და მზის ენერჯის თვალსაზრისით.

2006 წელს დამტკიცებული „საქართველოს ენერგეტიკულ სექტორში სახელმწიფო პოლიტიკის ძირითადი მიმართულებების“ თანახმად, უმთავრესი გრძელვადიანი ამოცანაა „საკუთარი ჰიდრორესურსებით ელექტროენერჯიაზე ქვეყანაში არსებული მოთხოვნის სრული დაკმაყოფილება“, „ეტაპობრივად, ჯერ იმპორტის, შემდეგ კი - თბოენერჯიის ჩანაცვლებით“. თუმცა, აქვე იკვეთება მეორე, უფრო გრძელვადიანი ამოცანაც - „საქართველო ენერგეტიკული რესურსების იმპორტიორი ქვეყნიდან თანდათანობით უნდა იქცეს მაღალი ტექნიკურ-ეკონომიკური მახასიათებლების მქონე, მდგრადი, კონსერვაციული და მოქნილი, დამოუკიდებელი ენერგეტიკული შესაძლებლობების სახელმწიფოდ“.

საქართველოს ენერგო-პოლიტიკის საკმაოდ პროგრესული მიზნები, გაგებულია როგორც თავისთავად ენერგო-რესურსების არსებობა და საქართველოს საექსპორტო პოტენციალის განვითარება. ბოლო რამოდენიმე წლის განმავლობაში საქართველოს მთავრობა ცდილობს საქართველო წარმოაჩინოს როგორც უახლოეს მომავალში რეგიონში წამყვანი ენერგო-ექსპორტიორი ქვეყანა. საქართველოს პრეზიდენტის განცხადებით, „ენერგეტიკა ერთ-ერთ იმ სამ ძირითად მიმართულებად უნდა იქცეს (სოფლის მეურნეობასა და ტურიზმთან ერთად), რომელსაც სამომავლოდ ქვეყნის ეკონომიკური განვითარება დაეფუძნება“. პრეზიდენტის განცხადებით, უახლოეს რამოდენიმე წელიწადში საქართველოს ელექტროენერგეტიკულ სექტორში მთავრობა დაახლოებით 5 მილიარდი დოლარის ოდენობის ინვესტიციის მოზიდვას გეგმავს¹.

ყურადსაღებია, რომ საქართველოს ენერგეტიკული სისტემის განვითარების საბოლოო მიზანს არ წარმოადგენს მდგრადი ენერგეტიკული სისტემის ჩამოყალიბება. ასეთი სისტემა უნდა ემყარებოდეს შემდეგ ძირითად პრინციპებს: (1) გარემოს დაცვის ინტეგრაცია, როგორც ენერჯის გამომუშავებისას, ისე მოხმარებისას; (2) ენერგო-უსაფრთხოება; და (3) კონკუ-

რენტუნარიანი ენერგო-სისტემების განვითარება - რათა ფართო სოციალური პოლიტიკური მიზნების განსახორციელების მიზნით, უზრუნველყოფილ იქნეს დაბალი ხარჯები სამრეწველო კონკურენციის გასაღვივებლად. საქართველოს ენერგო-სექტორში მიმდინარე ტენდენციებს, რომლებიც დაფუძნებულია დიდი ჰიდროენერგეტიკის (და ხანდახან, ქვანახშირის) განვითარებაზე, ძნელია ვუწოდოთ მდგრადი და განახლებადი.

2. ელექტროგადამცემის სისტემა

საექსპორტო ქვეყნად გადაქცევის ერთ-ერთ წინაპირობად საქართველოს მთავრობა განიხილავს ელექტროგადამცემი ხაზების მშენებლობას, როგორც თურქეთის, ისე სომხეთისა და აზერბაიჯანის მიმართულებით. საქართველოს ენერგეტიკის სამინისტროს განცხადებით, თავდაპირველად იგეგმება საქართველოს ენერგო-სისტემის თურქულ ენერგო-სისტემასთან ჰარმონიზაცია, 2015-2017 წლებისათვის კი, სამხრეთ-აღმოსავლეთ ევროპის ელექტროენერჯის ბაზარზე გასვლაც².

2009 წელს დაიწყო შავი ზღვის გადამცემი ხაზის მშენებლობის პროექტი, რომელიც გულისხმობს აზერბაიჯანიდან თურქეთამდე, საქართველოს გავლით, 500 კვ გადამცემი გზის მშენებლობას. პროექტს აფინანსებს ევროპის რეკონსტრუქციისა და განვითარების ბანკი (EBRD), გერმანიის განვითარების ბანკი (KfW) და ევროპის საინვესტიციო ბანკი (EIB). პროექტის მიზანია საქართველოს ენერგო-სისტემის სტაბილურობის ზრდა, აგრეთვე არსებული ზედმეტი ელექტროენერჯის ექსპორტი თურქეთში. შავი ზღვის ელექტროგადამცემი ხაზის პროექტის დოკუმენტაციაში ხაზგასმულია, რომ პროექტი მჭიდროდაა დაკავშირებული საქართველოში ახალი ჰიდროელექტროსადგურების მშენებლობასთან და ელექტროენერჯის ექსპორტით მიღებული შემოსავლების ზრდასთან³.

2010 წლის დასასრულს აზიის განვითარების ბანკმა დაიწყო რეგიონული ელექტროგადამცემი ხაზის მშენებლობის წინასწარი სამუშაოები. პროექტის მიზანია გაზარდოს ელექტროენერჯის გადამცემი სიმძლავრეები აზერბაიჯანის, სომხეთისა და თურქეთის მიმართულებით, ელექტროენერჯის გაყიდვისა და ტრანზიტის მიზნით. პროექტის აღწერაში ხაზგასმულია, რომ პროექტის განხორციელების შემთხვევაში, საქართველო გადაიქცევა განახლებად

1 ob. <http://www.voanews.com/georgian/news/georgia/hydroelectric-plants-georgia-108428799.html>

2 ob. http://csr.dg.ge/index.php?module=text&link_id=149&lang=geo&lang=geo

3 ob. www.minenergy.gov.ge

ენერგეტიკაზე დაფუძნებულ რეგიონულ ენერგო-ცენტრად⁴.

3. დიდი და საშუალო ჰიდროენერგეტიკის განვითარება

დღეს საქართველოში დაახლოებით 3000 მეგავატიზე მეტი დადგმული სიმძლავრეა, აქედან ჰიდროელექტროსადგურებზე (ჰეს-ებზე) მოდის დაახლოებით 2700 მეგავატი, ხოლო 500 მეგავატი - თბოელექტროსადგურებზე.

საქართველოს ენერგეტიკისა და ბუნებრივი რესურსების სამინისტროს ვებ-გვერდზე განთავსებული ინფორმაციის თანახმად, ამჟამად უცხოელ ინვესტორებთან გაფორმებულია დაახლოებით 3 მილიარდი დოლარის ოდენობის ინვესტიციის ურთიერთგაგების მემორანდუმი, დაახლოებით 2000 მეგავატი დადგმული სიმძლავრეების მშენებლობაზე (სამინისტროს ვებ-გვერდზე წარმოდგენილია 30 დიდი და საშუალო სიმძლავრის ჰეს-ის ჩამონათვალი).⁵ სამინისტროს ინფორმაციით, მიმდინარეობს მოსამზადებელი სამუშაოები ნამახვანის კასკადისა (დადგმული სიმძლავრე 700 მეგავატი) და ხუდონ-ჰესის (დადგმული სიმძლავრე 638 მეგავატი) მშენებლობისათვის. გარდა 30 დიდი და საშუალო სიმძლავრის ჰეს-ისა, საქართველოს მთავრობა ცდილობს მოიძიოს ინვესტიცია 50-მდე მცირე და საშუალო სიმძლავრის ჰეს-ის მშენებლობისთვის საქართველოში⁶, რომელთა საერთო დადგმული სიმძლავრე 1000 მეგავატს აღემატება - ეს ჰეს-ები სამინისტროს ზემოაღნიშნულ ჩამონათვალში არ არის მოხსენიებული. მაგალითად, ჩამონათვალში არ არის შესული სამცხე-ჯავახეთის ჰიდრო-კასკადი, რომლის დადგმული სიმძლავრე დაახლოებით 210-220 მეგავატი იქნება⁷.

ყურადსაღებია, რომ დიდი ჰიდრო-კაშხლები არ შეიძლება განხილულ იქნეს ენერჯის მდგრად, განახლებად წყაროდ. დიდი ჰიდრო-კაშხლების მშენებლობა არ შეესაბამება მდგრადი განვითარების პრინციპებს, მათ შეუძლიათ მოახდინონ მნიშვნელოვანი უარყოფითი ზეგავლენა გარემოზე, დრამატულად შეცვალონ სოციალური და დემოგრაფიული მდგომარეობა. 2000 წელს კაშხლების მსოფლიო კომისიის მიერ გამოქვეყნებული ანგარიშის თანახმად, დიდი

კაშხლების/ჰეს-ების უარყოფითი ზემოქმედება ბუნებრივ და სოციალურ გარემოზე (იძულებითი გადასახლება, ტრადიციების დაკარგვა, ბუნებრივი გარემოს და კულტურული მემკვიდრეობის განადგურება, ლანდშაფტის და ლოკალური კლიმატის შეცვლა) იმდენად ძლიერია, რომ ისინი უკვე აღარ განიხილება განახლებადი ენერგეტიკის ნაწილად⁸.

ამასთან ერთად, წარმოდგენები დიდი კაშხლების ფინანსური მომგებიანობის შესახებ გადაჭარბებული აღმოჩნდა. კაშხლების მსოფლიო კომისიის 2000 წლის დასკვნის მიხედვით, დიდი კაშხლების მშენებლობის დანახარჯების ანალიზისას აღმოჩნდა, რომ საშუალოდ, დანახარჯები 89%-ით აჭარბებდა დაგეგმილს. 81 კაშხალზე ჩატარებული გადამოწმების შედეგად კი აღმოჩნდა, რომ ხარჯებმა 56%-ით გადააჭარბეს დაგეგმილს (ოფიციალური მონაცემებით - 21%-ით). 1996 წელს მსოფლიო ბანკის დამოუკიდებელმა კვლევამ აჩვენა, რომ ბანკის მიერ დაფინანსებულ 66 ჰიდროენერგეტიკულ პროექტში საშუალო დანახარჯებმა 27%-ით გადააჭარბეს დაგეგმილს (ამასთან, ოთხი კაშხალი, სადაც დაფიქსირდა ხარჯების ყველაზე დიდი გადაჭარბება, არ იქნა შეყვანილი ამ ანალიზში). საკითხის შემსწავლელმა კომისიამ შეაგროვა ასევე ფაქტები სხვა საფინანსო ინსტიტუტებიდანაც; შედეგად, კვლევამ აჩვენა, რომ მიუხედავად სოციალური და გარემოსდაცვითი დანახარჯების გაუთვალისწინებლობისა, ბევრი კაშხალი თავიდანვე აჩვენებდა ძალზე მცირე მოგებას⁹.

ევროპარლამენტმა 2011 წლის დასაწყისში მკაცრად გააკრიტიკა მსოფლიო ბანკი დიდი კაშხლების მხარდაჭერისთვის და მოუწოდა, მხარი დაეჭირა ალტერნატიული, მცირე მასშტაბის ენერგო-პროექტებისათვის¹⁰. სამწუხაროდ, როგორც ჩანს, ფარავან-ჰეს-ის შემთხვევაში, EBRD და IFC არ ითვალისწინებენ ამ რეკომენდაციას და განვითარებისთვის გამოყოფილი თანხები იხარჯება გარემოსდაცვითი და სოციალური პრობლემების შექმნისათვის და არა მათი გადაწყვეტისთვის.

4. თბოელექტროსადგურების მშენებლობა

ჰიდრო-რესურსების ათვისების გარდა, საქართველოში კვლავაც აქტუალურია გაზისა და ქვანახშირის თბოელექტროსადგურების (თეს-ების) მშენებლობისა და ოპერირების საკითხი. საქართველოს საერთა-

4 იხ. www.adb.org

5 იხ. მიმდინარე საინვესტიციო პროექტები ენერგეტიკისა და ბუნებრივი რესურსების სამინისტროს ვებ-გვერდზე: <http://www.minenergy.gov.ge/>

6 იხ. სახელმწიფო პროგრამა „განახლებადი ენერჯია 2008“ ბმულზე: <http://www.minenergy.gov.ge/index.php?m=396>

7 იხ. www.minenergy.gov.ge

8 იხ. www.dams.org

9 იხ. www.dams.org

10 იხ. <http://www.europarl.europa.eu/sides/getDoc.do?type=TA&reference=P7-TA-2011-0067&language=EN&ring=B7-2011-012>

შორისო ენერგეტიკულმა კორპორაციამ 2010 წლის დეკემბერში განაცხადა, რომ გეგმავს ტყიბულის თეს-ის მშენებლობას და გამოაქვეყნა დაგეგმილი თეს-ის ბუნებრივ და სოციალურ გარემოზე ზემოქმედების შეფასების (ბსგზმ) ანგარიშის პროექტი. კორპორაციის ვებ-გვერდიდან ასევე ცნობილი ხდება, რომ კომპანიას დაგეგმილი აქვს ნახშირზე მომუშავე შემდეგი შემდეგი თეს-ების მშენებლობა¹¹:

ახალციხის თეს-ი

სიმძლავრე: 300 მეგავატი
აგრეგატების რაოდენობა: 2x150
წლიური გამომუშავება: 2,2 მლრდ. კვ/სთ
ნახშირის წლიური მოხმარება: 1,9 მლნ. ტონა
მშენებლობის ვადა: 3-4 წელი

გარდაბნის თეს-ი

სიმძლავრე: 300 მეგავატი
აგრეგატების რაოდენობა: 2x150
წლიური გამომუშავება: 2,2 მლრდ. კვ/სთ
ნახშირის წლიური მოხმარება: 1,5 მლნ. ტონა
მშენებლობის ვადა: 4 წელი

ხოფას თეს-ი

სიმძლავრე: 150 მეგავატი
აგრეგატების რაოდენობა: 1x150
წლიური გამომუშავება: 1,1 მლრდ. კვ/სთ
ნახშირის წლიური მოხმარება: 600 ათასი ტონა
მშენებლობის ვადა: 3 წელი

ტყიბულის თეს-ი

სიმძლავრე: 600 მეგავატი
აგრეგატების რაოდენობა: 2x300 - 4x150
წლიური გამომუშავება: 4 მლრდ. კვ/სთ
ნახშირის წლიური მოხმარება: 2,4 მლნ. ტონა
მშენებლობის ვადა: 3-4 წელი

ტყიბულის თეს-ის ბსგზმ ანგარიშის პროექტის თანახმად, *“დაგეგმილი საქმიანობის განხორციელების შემთხვევაში გამომუშავებული იქნება 300 მგვტ ელექტროენერჯია, რომლის ქვეყნის ენერგოსისტემაში მიწოდება მოხდება საპროექტო 220 კვ ძაბვის ელექტროგადაცემის ხაზით თბოელექტროსადგურიდან ზესტაფონის ქვესადგურამდე. საპროექტო თეს-ის ამოქმედება მნიშვნელოვანი ნაბიჯი იქნება ქვეყნის ენერგეტიკული დამოუკიდებლობის მიღწევის გზაზე. განსაკუთრებით, აღსანიშნავია თბოელექტროსადგურის ფუნქციონირებით გამოწვეული სარგებელი წყალმცირობის პერიოდში, როცა ჰიდროელექტრო-*

სადგურები ვერ მუშაობს სრული დატვირთვით და ქვეყნის ენერგოსისტემაში წარმოიქმნება დეფიციტი”.

აღნიშნულთან დაკავშირებით, გასათვალისწინებელია შემდეგი: დღეს საქართველოში არსებობს გაზზე მომუშავე თეს-ები, მათ შორის შპს “მტკვარი”, “თბილსრესი”, რომელიც ტყიბულის თეს-ის პროექტის განმახორციელებლის საკუთრებაა და აირ-ტურბინები (ენერჯი-ინვესტი). ამასთან, საქართველოს ენერგეტიკის მინისტრის 2010 წლის 9 თებერვლის N8 ბრძანების თანახმად¹², 2009 წლის სექტემბერი – 2010 წლის აგვისტოს საპროგნოზო ენერგეტიკული ბალანსი შემდეგნაირია: თეს-ები – 996 მლნ.კვტ.სთ, ჰეს-ები – 9378.3 მლნ კვტ.სთ, იმპორტი – 277.8 მლნ კვტ.სთ; აქედან, შპს მტკვარი (300 მეგავატი) – 872.7 მლნ კვტ.სთ, აირტურბინა (110 მეგავატი) – 20.6 მლნ კვტ.სთ, თბილსრესი (260 მეგავატი) – 102.7 მლნ კვტ.სთ.

ენერგეტიკული ბალანსი, მართალია, აჩვენებს წყალმცირობის პერიოდში თეს-ების გამომუშავების ზრდას, თუმცა ისიც ნათელია, რომ დადგმული თბო-სიმძლავრეების სრული ათვისება არ ხდება და ქვეყანაში ელექტროენერჯიის იმპორტი სწორედ ამითაა გამოწვეული. შესაბამისად, ტყიბულის თეს-ის მშენებლობის დასაბუთება, სრულიად მოწყვეტილია ქვეყანაში ენერგეტიკის განვითარების არსებულ კონტექსტს.

თეს-ის მშენებლობა, ერთის მხრივ, არ ესადაგება საქართველოს ენერგო-პოლიტიკის მიმართულებებს, ხოლო მეორეს მხრივ, მკვეთრად ეწინააღმდეგება საქართველოს მიერ გაერო-ს „კლიმატის ცვლილების შესახებ“ კონვენციის მხარეთა წინაშე აღებულ ვალდებულებებს და ასევე, საფრთხეს უქმნის საქართველო-ევროკავშირის სამოქმედო გეგმის წარმატებულ განხორციელებას.

5. პროექტის აპროშიკური დასაბუთება

სამწუხაროდ, ტრადიციულად, წარმოდგენილ პროექტებში, როგორც ჰეს-ების, ისე ქვანახშირის თეს-ის შემთხვევაში, საერთოდ არ არის წარმოდგენილი პროექტების ეკონომიკური შეფასებები და უკუგების კოეფიციენტი. შესაბამისად, საკმაოდ რთულია, შეფასდეს, მისაღებია, თუ არა ესა თუ ის პროექტი და რამდენადაა გათვალისწინებული გარე ხარჯები

11 ob. http://gi-ec.com/index/chvens_shesakheb/0-10

12 “2009-2010 წლის ელექტროენერჯიის (სიმძლავრის) ბალანსის დამტკიცების შესახებ” საქართველოს ენერგეტიკის მინისტრის 2009 წლის 27 აგვისტოს N60 ბრძანებაში ცვლილების შეტანის შესახებ

(გადასახლების, ზეგავლენის ქვეშ მოქცეული მოსახლეობისთვის კომპენსაციის გაცემის, ინფრასტრუქტურის, შემარბილებელი ღონისძიებების და სხვ.); მსგავსი მიდგომა, ასევე, საკმაოდ ართულებს გადაწყვეტილების მიღების პროცესს.

მაგალითისთვის, ფარავან-ჰეს-ისა და გადამცემი ხაზის მშენებლობის პროექტის ღირებულება 160 მლნ აშშ დოლარია; აქედან, 80 მილიონ აშშ დოლარს თურქული კომპანია EBRD-სა და საერთაშორისო საფინანსო კორპორაციის (IFC) კრედიტით მოიზადავს¹³. საპროექტო დოკუმენტაციის თანახმად, „ჰესის არაშენების შემთხვევაში საქართველო წლიურად დაკარგავს დაახლოებით 40 მლნ აშშ დოლარს“. ვინაიდან პროექტი ხორციელდება BOO¹⁴-სქემის (მშენებლობა, ოპერირება, ფლობა) მიხედვით, ხსენებული 40 მლნ აშშ დოლარი არის თურქული კომპანიის შემოსავალი, საიდანაც საქართველოს ბიუჯეტში გადაირიცხება მხოლოდ ქონებისა და საშემოსავლო გადასახადები. მშენებლობაზე იმუშავებენ ძირითადად თურქი ინჟინრები, ხოლო ადგილობრივი მოსახლეობა არაკვალიფიციურ სამუშაოს უნდა დასჯერდეს.

ზოგადად, პროექტების ეკონომიკურ დასაბუთებებში, როგორც წესი, ხაზგასმულია, რომ პროექტები ზამთარში ენერგო-სისტემას დაეხმარებიან ენერგოდეფიციტის აღმოფხვრაში. მაგალითად, ფარავან-ჰესის ერთ-ერთი და უმთავრესი სარგებელი სწორედ ენერგო-სისტემისთვის ზამთარში ენერჯის მიწოდება იქნება. მართალია, ზამთარში მდინარე ფარავანი ხანდახან იყინება, მაგრამ ეს უკვე ის დეტალია, რომელზეც პროექტის განმახორციელებლები რატომღაც არ საუბრობენ.

მეორე ასპექტი, რომელსაც ხაზს უსვამენ პროექტების ინიციატორები და მხარდამჭერები, მათ შორის, ენერგეტიკისა და ბუნებრივი რესურსების სამინისტრო, ელექტროენერჯის ექსპორტის ზრდის შესაძლებლობაა. 18 ჰეს-ის მშენებლობა და ექსპლუატაციაში შესვლა 2018 წლისთვის, სამინისტროს აზრით, გაასამაგებს ელექტროენერჯის ექსპორტის შესაძლებლობას¹⁵. აქ ძნელია არ გაივლოს პარალელი 2000-2003 წლებში საქართველოს მთავრობის ბაქო-თბილისი-ჯეიჰანის ნავთობსადენთან დაკავშირებულ რიტორიკასთან - მთავრობა სწორედ ნავთობსადენს

უკავშირებდა საქართველოს ბიუჯეტის მნიშვნელოვან ზრდას, ეკონომიკურ განვითარებას და ქვეყნის უზრუნველ მომავალს.

ოპტიმიზმის ნაკლები საფუძველი აქვს საზოგადოებას, რომლისთვისაც უცნობია მაგალითად, გატარების ტარიფი, რამდენია და როდის ველოდებით რეალურ მოგებას თითოეული ჰეს-იდან, რამდენად გამჭვირვალე იქნება ბიუჯეტში შესული თანხების გადანაწილება (კვლავაც მოხმარდება თანხები ქალაქებში შადრევნების მოწყობას, თუ პოზიტიური ზეგავლენა იქნება მაგალითად, ჯანდაცვისა და განათლების სისტემებზე). სხვა სიტყვებით, საზოგადოებისთვის უცნობია რეალურად რას ვიგებთ და რას ვკარგავთ ამ პროექტების განხორციელებით. ამ კითხვებზე გაცემულ პასუხებზე დამოკიდებული, უღირს, თუ არა საზოგადოებას, მაგალითად, ხუდონ-ჰეს-ის შემთხვევაში, ხაიშის დატბორვა, ან ნამახვანის კასკადის შემთხვევაში, ნამახვანის დატბორვა.

ზემოაღნიშნულ კითხვებზე პასუხის გაცემა აუცილებელია პოტენციური კონფლიქტების თავიდან ასაცილებლად: 2009 წელს როდესაც ენერგეტიკის სამინისტრომ ონის კასკადის მშენებლობის საკითხი წამოწია წინ, საკმაოდ მკვეთრი იყო როგორც ადგილობრივი მოსახლეობის, ისე სამოქალაქო საზოგადოების პასუხი. პროექტის სპონსორის წარმომადგენელმა საუბარში აღიარა კიდევ, რომ საზოგადოებრივი წინააღმდეგობა მათთვის მოულოდნელიც კი იყო. საზოგადოების შემფოთების საგანი იყო როგორც სასოფლო-სამეურნეო მიწების და რაჭის სოფლების დატბორვა, ისე პროექტთან დაკავშირებული გეოლოგიური და სეისმოლოგიური საფრთხეები.

6. გარე ხარჯების ინტერნალიზაცია

მნიშვნელოვანი პრობლემაა ასევე საპროექტო ხარჯებში იმ ხარჯების გაუთვალისწინებლობა, რომელთა გაღება აუცილებელია სოციალური ინფრასტრუქტურისა და გარემოსთვის მიყენებული ზარალის ასანაზღაურებლად. გარე ხარჯები, სამწუხაროდ, ხშირად არ აისახება პროექტის საწყის ხარჯებში და საბოლოოდ, აღმოჩნდება, რომ ეს ხარჯები სახელმწიფო ბიუჯეტმა და/ან ადგილობრივმა მოსახლეობამ უნდა გასწიოს.

მაგალითად, 2008 წელს ხუდონ-ჰეს-ის პროექტის საჯარო განხილვებისას, პროექტის ღირებულება 780 მლნ დოლარად იყო შეფასებული. პროექტის ტექნიკური ჯგუფის განცხადებით, შესაძლებელი იყო დაახლოებით 25%-ის გადახარჯვა, ვინაიდან ჯგუფი არ იყო დარწმუნებული არსებული ინფრასტრუქტურის

13 ანუ თანხას, რომელიც განკუთვნილია ქართული ეკონომიკის განვითარებისთვის.

14 Buidling, Operation, Onwnership - BOO

15 იხ. <http://www.ambebi.ge/masmedia/36413-saqarthvelos-energetikuli-siaxhleebi.html#ixzz1Msf88gzs>

საიმედოობაში. ჩვენმა ანალიზმა აჩვენა¹⁶, რომ გარე ხარჯები (აუზის რევეგეტაციის, სტაბილიზაციის სამუშაოების, სადრენაჟო სისტემის მოწყობის, ფერდობების ეროზიის მუდმივი მონიტორინგის, 30 კმ-მდე გზის მშენებლობის ხარჯები) არ იყო გათვალისწინებული პროექტის საერთო ღირებულებაში.

2011 წლის აპრილში, ოფიციალური მონაცემებით, პროექტის ღირებულებამ 935 მლნ აშშ დოლარი შეადგინა. პროექტის ღირებულების ზრდა გასაკვირი არ არის, თუმცა, ჩვენი ვარაუდით, ამ გათვლაშიც გარე ხარჯები კვლავ არ არის გათვალისწინებული. ყურადსაღებია ენერგეტიკისა და ბუნებრივი რესურსების მინისტრის განცხადებაც, რომ ინვესტორმა მოსახლეობას განსახლების გეგმა უნდა წარუდგინოს; გამოდის, რომ მოსახლეობისთვის გასაცემი კომპენსაციის ოდენობა უკვე გადაწყვეტილია, მოსახლეობასთან ყოველგვარი კონსულტაციის გარეშე.

ფარავან-ჰეს-ის შემთხვევაში, პროექტის განხორციელება გამოიწვევს მდ. ფარავანის ეკოლოგიური მდგომარეობის მკვეთრ ცვლილებას, რადგან პროექტი ითვალისწინებს მდინარის ნაკადის მხოლოდ 10%-ის შენარჩუნებას არსებულ კალაპოტში; პროექტი ასევე ზრდის სოფელი ხერთვისისა და მიმდებარე ტერიტორიების დატბორვის რისკს, მაგრამ არ ითვალისწინებს შემარბილებელ ღონისძიებებს; ამასთან, გადამცემა ხაზმა უკვე პრობლემური გახადა ადგილობრივი მოსახლეობის ხელმისაწვდომობა სოფლის საძოვრებზე.

ბაქო-თბილისი-ჯეიჰანის ნავთობსადენმა ნათლად აჩვენა, რომ მეგა-პროექტების ამგვარად განხორციელებამ შეიძლება შეუქცევადი ზიანი მიაყენოს ადგილობრივ მოსახლეობას როგორც გარემოსდაცვითი, ისე სოციალური თვალსაზრისით. ამის მაგალითია სოფელი ცემი, რომელიც საკურორტო ადგილად არის ცნობილი. ნავთობსადენის სამშენებლო სამუშაოების წარმოებისას სოფლის სასმელი წყლის სათავის დაზიანების გამო, მოსახლეობა დარჩა როგორც ხარისხიანი სასმელი წყლის, ისე დამსვენებლებისგან მიღებული შემოსავლების გარეშე.

სამწუხაროდ, საქართველოში, ხშირად, ამა თუ იმ პროექტის განხორციელებაზე პოლიტიკური გადაწყვეტილებები მიიღება ისე, რომ არ ხდება პროექტების დეტალების წინასწარი დაგეგმვა, ყოველმხრივი შესწავლა, დადებითი და უარყოფითი მახასიათებლების აწონ-დაწონვა. ინვესტიციების მოზიდვაზე გამიზნული ამგვარი პოლიტიკური გადაწყვეტილებებით კი,

საბოლოო ჯამში, დაზარალებული მოსახლეობა და გარემო რჩება.

7. განახლებადი ენერგეტიკა და ენერგოეფექტურობა

აღსანიშნავია, რომ დიდი ჰიდროენერგეტიკის განვითარების გარდა, საქართველოს აქვს მცირე ჰიდროენერგეტიკის განვითარების პოტენციალი¹⁷. მცირე ჰიდროენერგეტიკის განვითარება შესაძლებელია დეცენტრალიზებულად, რაც ერთის მხრივ, მნიშვნელოვნად შეამცირებს დანაკარგებს გადამცემ ხაზებში, ხოლო მეორეს მხრივ, ხელმისაწვდომს გახდის ენერჯის ადგილობრივი მოსახლეობისათვის. გარდა ამისა, საქართველოს აქვს ქარის ენერჯის გამოყენების დიდი პოტენციალი (ტექნიკური პოტენციალი დაახლოებით 4,5 TWh). მიუხედავად იმისა, რომ ქარის ენერგეტიკა სულ უფრო და უფრო ფართო გავრცელებას ჰპოვებს მსოფლიოში, საქართველოში ამ მიმართულებით ქმედებები არ განხორციელებულა.

მიუხედავად აღნიშნული პოტენციალისა, საეჭვოა, რომ საქართველოს ენერგეტიკული სექტორის განვითარება დაეფუძნოს რეალურად განახლებად ენერგოწყაროებს და ჩამოყალიბდეს მდგრადი ენერგოსისტემა. დაეჭვების საფუძველს იძლევა როგორც ზემოთ ხსენებული საქართველოს ხელისუფლების ინიციატივები, ისე საქართველოს ენერგოპოლიტიკის დოკუმენტიც, რომლის თანახმად, “ტრადიციული და ალტერნატიული წყაროების გამოყენება თანაბარ პირობებში იქნება მოქცეული“, ხოლო ენერგოეფექტურობა, ფაქტობრივად, არ მიიჩნევა ენერგოსექტორის შემადგენელ ნაწილად.

ჩვენი აზრით, წარმოუდგენელია განახლებადი ენერგეტიკის განვითარების წახალისება იმ პირობებში, როდესაც ტრადიციული და ალტერნატიული წყაროების გამოყენება თანაბარ პირობებშია მოქცეული. ასეთი მიდგომა პრინციპულად ზღუდავს განახლებადი ენერგეტიკის ფართოდ განვითარების შესაძლებლობას და აბსოლუტურად ეწინააღმდეგება ევროკავშირში არსებულ ალტერნატიული ენერჯის განვითარების პრაქტიკასა და პრინციპებს. ევროკავშირის სამეზობლო პოლიტიკის ეგიდით ხელმოწერილი ევროკავშირი-საქართველოს სამოქმედო გეგმა (2006) ხაზგასმით მოითხოვს კანონმდებლობის

17 “The analysis of more than 300 rivers of Georgia shows that it would be possible to construct 1 200 derivation type small hydropower plants, of which 700 could be built in western Georgia. The total installed capacity of these plants would equal 3 000 MW, of which 2 000 MW could go to western Georgia, with an annual generation of 16 000 GWh (11 000 MWh in western Georgia)”. GEF Small HPP capacity Assessment, 2005, volume II

16 იხ. <http://www.greenalt.org/webmill/data/file/EIA.pdf>

მიღებას ენერგოეფექტურობის და ენერჯის განახლებადი წყაროების შესახებ. სამოქმედო გეგმის ხელმოწერის შემდეგ ენერგოეფექტურობისა და განახლებადი ენერჯეტიკის კარგი ეროვნული გეგმა არათუ დამტკიცებული, შემუშავებულიც კი არ არის. ენერჯეტიკისა და ბუნებრივი რესურსების სამინისტროს წარმომადგენლის განცხადებით, 2012 წლამდე არც კი იგეგმება მისი შემუშავება, აღნიშნულ საკითხზე სათანადო ექსპერტიზის არ არსებობის გამო (აღსანიშნავია, რომ 2008 წლის ზაფხულში საქართველოს მთავრობამ შეაჩერა USAID-ის მიერ დაფინანსებული ჯგუფის მუშაობა კანონპროექტზე).

გაზარდოს თანამშრომლობა გარემოს დაცვაზე პასუხისმგებელ უწყებასთან.

სამოქმედო გეგმა აგრეთვე მოითხოვს ქვეყნის ენერგოპოლიტიკის დაახლოებას ევროკავშირის ენერგოპოლიტიკის მიზნებთან, კერძოდ, კარგად გათვლილი და გრძელვადიანი ენერჯეტიკული პოლიტიკის შემუშავებას და განხორციელებას, რომელიც თანდათანობით დაუახლოვდება ევროკავშირის ენერგოპოლიტიკის მიზნებს, ენერგო-რესურსების მიწოდების უსაფრთხოების ჩათვლით.

აღსანიშნავია, ისიც რომ 2009 წლის დასასრულიდან საქართველოს მთავრობა განიხილავს ევროპის ენერჯეტიკული თანამეგობრობის (European Energy Community, EEC) სრულუფლებიანი წევრობის საკითხს (2007 წელს მას მიენიჭა დამკვირვებლის სტატუსი). სრულუფლებიანი წევრობის შემთხვევაში, საქართველომ უნდა შეასრულოს თანამეგობრობის ხელშეკრულება და მასთან დაკავშირებული ენერჯეტიკული და გარემოსდაცვითი კანონმდებლობა, მათ შორის, კიოტოს პროტოკოლი, IPPC დირექტივა 96/61, გარემოზე ზემოქმედების შეფასების დირექტივა (85/337), განახლებადი ენერჯეების დირექტივა და სხვ.

ეკონომიკური პოლიტიკისა და სამართლებრივი საკითხების ქართულ-ევროპულმა საკონსულტაციო ცენტრმა მოამზადა სრულუფლებიანი წევრის სტატუსის მისაღებად საქართველოს მთავრობის მიერ განსახორციელებელი ქმედებების შესახებ წინასწარი შეფასება და რეკომენდაციები. კვლევის თანახმად¹⁸, მთელ რიგ საკითხებზე საქართველოს საერთოდ არ გააჩნია კანონმდებლობა. კვლევაში მოყვანილი ფაქტები კი, კიდევ ერთხელ მოწმობს იმას, რომ აუცილებელია, ენერჯეტიკისა და ბუნებრივი რესურსების სამინისტრომ მეტი ყურადღება დაუთმოს ქართული საკანონმდებლო სივრცის ჰარმონიზაციას ევროკავშირის დირექტივებთან და მნიშვნელოვნად

18 იხ. http://geplac.ge/newfiles/Environmental%20Implications%20vs%20ECC_JSarnacki%20May%202010.pdf

5. დასკვნა და რეკომენდაციები

ზემოთ მოყვანილი ანალიზი გვამცნობს საშუალებას დავასკვნათ, რომ საქართველოს მთავრობა ცდილობს ხელი შეუწყოს “ტრადიციული” პროექტების განვითარებას ყოველგვარი რეალური ეკონომიკური დასაბუთების გარეშე (მათ შორის, გარე ხარჯების გაუთვალისწინებლად); რაც შეეხება განახლებადი ენერჯის წყაროებისა და ენერგოეფექტურობის ღონისძიებების განხორციელებას - ეს არ არის მიჩნეული აუცილებელ და გადაუდებელ ღონისძიებად. ამასთან, ყურადსაღებია ისიც, რომ საეჭვოა თვით “ტრადიციული” პროექტების განვითარების ხელშეწყობის რეალურობაც, გამომდინარე იმ ფაქტიდან, რომ საქართველოს მთავრობა ცდილობს ერთდროულად მოიზიდოს ინვესტიციები რამოდენიმე დიდი ჰეს-ის მშენებლობისთვის; ეს კი, საკმაოდ პრობლემურია არსებულ ეკონომიკურ პირობებში.

საქართველოს თანმიმდევრული და მდგრადი ენერგო-სექტორის ჩამოსაყალიბებლად რთული და ხანგრძლივი გზა აქვს გასავლელი, თუმცა ჩვენი აზრით, არსებობს გარკვეული ღონისძიებები, რომელთა გატარებაც შესაძლებელია და აუცილებელია უახლოეს წლებში ქვეყნის მიერ დეკლარირებული მიზნების მისაღწევად. ჩვენი აზრით, აუცილებელია, რომ საქართველოს მთავრობამ:

- დაიწყო მუშაობა ახალ ენერგო-პოლიტიკაზე, რომელიც შესაბამისობაში იქნება ევროკავშირის ენერგო-პოლიტიკასთან 2020;
- საზოგადოების აქტიური მონაწილეობით, შეიმუშაოს განახლებადი ენერჯისა და ენერგოეფექტურობის შესახებ კანონი და დაგეგმოს ხელშეწყობი ღონისძიებები;
- ხელი შეუწყოს ინვესტიციების მოზიდვას მცირე ჰეს-ების რეაბილიტაციისა და დეცენტრალიზებული განახლებადი ენერჯის წყაროების ათვისებისთვის;
- შეიმუშაოს საქართველოს ენერგო-სექტორის განვითარების სტრატეგიული გეგმა, რომელიც დაეყრდნობა სექტორის გარემოზე ზეგავლენის შეფასებას, რათა მოიძებნოს სექტორის განვითარების ყველაზე ოპტიმალური და გარემოსდაცვითი თვალსაზრისით მისაღები მოდელები.

გამოცემაში გამოთქმული მოსაზრებები წარმოადგენს მისი ავტორის მოსაზრებებს, გამოხატავს მწვანე ალტერნატივას პოზიციას და არ შეიძლება განხილულ იქნეს საქართველოში ნიდერლანდების სამეფოს საელჩოს შეხედულებათა ამსახველად.

© მწვანე ალტერნატივა, 2011

თბილისი, 0179,
ფალიაშვილის ქ.#27/29, II სართ.
ტელ: (995 32) 22 38 74; 29 27 73
ფაქსი: (995 32) 22 38 74
GREENALT@GREENALT.ORG
WWW.GREENALT.ORG